# ცნობის ფურცელი

№ 2138 ხუთშაბათი, 1 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2138

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განკის ქიდ ქუჩაზე, № 27 და ჯ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

**ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-113 №-რი.**

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„ი დ ე ა ლ"

საერთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე უიფიანი** **ტფილისში**, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150**. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—12)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მ. ხ. მუსხელიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

**მ. მ. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

**ნ. ტ. მუღინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**მ. ლ. ლამბაშიძე**—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

**მ. ნ. მადალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

**მ. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

**დ. ა. გედევანიშვილი**, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

**ნ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ზრ. მ. ხოგოლევსკი**—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ტ. ვ. მადალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

**მუდმივი ექიმი მ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილისა, №-21. (აგზაკის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 374 (წლ.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-ის და საღამოთი 5—7-დის.

ლორის-მელიქოვის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, ლილი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კვირას, 4 მაისს, დანიშნულია

ქურთხევა

ბათუმის რომის-კათოლიკეთა ეკკლესიისა ყოვლად უსამღვდელოესის ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოზის მიერ. (ნ. 1—1)

ქ უ თ ა ი ს შ ი

კვირას, მაისის 4, საქალაქო ბაღში (ბულვარში) გაიმართება

სახალხო სეირნობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

ბაღი განირაღდნებული იქმნება და მორთული. ბაღში იქმნება ბუფეტი სანოვაგით. დაუკრავს მუსიკა და საზანდარი. (ყ. 3—1)

## მთავრობის განცხადება

### უწესოებანი ტფილისში

გაზეთ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია:

„27 აპრილს, დილის 10 საათზე, ტფილისის შუაგულ ქუჩებში გაჩნდა მრავალი მუშა, რომელთა რიცხვი დაახლოვებით 1,000-დან 1,200 კაცამდე იქნებოდა. ეს მუშები მოსეირნე საზოგადოებასთან ერთად დადიოდნენ ტროტუარებზე და პირველ ხანს წესიერებას არაფრით არღვევდნენ. შუადღ ესე 12 საათზე მუშათა ნაწილი, დაახლოვებით 100 კაცამდე, გოლოვინის პროსპექტის შუაგულში, სახაზინო თეატრის პირდაპირ ხელად შეერთდა ჯგუფად, „ურა"-ს ძახილითააფრიალა წითელი ნიშანი და მოისურვა გოლოვინის პროსპექტზე გავლა. მაგრამ გაძლიერებულმა პოლიციამ და მეეზოვეებმა შეკრებილთ ნება არ მისცეს წინ წასულიყვნენ, ხოლო დაუყოვნებლად მოსულმა პოლიცმეისტერმა ცხენოსან დარაჯებთან ერთად გაჰფანტა მანიფესტანტები და ნება არ მისცა სხვა ქუჩებიდან გამოქცეულთ შეერთებულიყვნენ.

„დაახლოვებით 10 წუთის განმავლობაში წესიერება აღდგენილ იქმნა, ამასთან შეიპყრეს 63 კაცი. შეტაკების დროს პოლიციელთა და მანიფესტანტთაგან მძიმედ არავინ დაშავებულა.

63 დაპატიმრებულისაგან განთავისუფლეს 30 კაცი, რომელთა მონაწილეობა უწესოებაში მოწმეების ჩვენებით დანამდვილებით ვერ გამოირკვა. დანარჩენ 33 კაცს ტფილისის გუბერნატორმა სხვა და-სხვა ვადით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

### დადგენილება

1903 წლის, 29 აპრილს, მე, ტფილისის გუბერნატორმა, განვიხილე რა გამოძიება 27 აპრილს გოლოვინსკის პროსპექტზე მომხდარ უწესოებათა შესახებ, თანახმად სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც კავკასიის მთავარმართებელმა 1902 წ. 18 იანვარს გამოსცა ქალაქ ტფილისისათვის, სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის გაძლიერებულ დაცვის დებულების მე-15 მუხლის ძალით, დავადგინე დაპატიმრებულ იქმნან შემდეგნი პირნი ქუჩაში ყრილობის მოხდენისათვის და პოლიციის კანონიერ მოთხოვნის არ აღსრულებისათვის:

**ა) სამის თვით:**

1) გიორგი ნუცუბიძე, თელავის მოქალაქე.

2) მარიამ მდინარაძისა, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ვარკეთილის მცხოვრები.

3) გიორგი ტაბლიაშვილი, თელავის მაზრის, სოფ. შაშიანის მცხოვრები.

4) ნიკოლოოზ ფონხაძე, რაჭის მაზრის, სოფ. გორის-უბნის მცხოვრები.

5) კევორქ აკოფოვი, ტფილისის მოქალაქე.

6) ფრიდონ მენდიაშვილი, გორის მაზრის, სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრები.

7) სპირიდონ არჩვაძე, გორის მაზრის, სოფ. ფლავის მცხოვრები.

8) იაგორ გაბრიელოვი, ტფ. მაზრის, სოფ. ახალსოფლის მცხოვრები.

9) ნიკოლოზ მიროიანცი, ტფილისის მოქალაქე.

10) ბახშო კარტაშევი, ტფილისის მოქალაქე.

11) გიორგი მეჭურჭლიშვილი, სიღნაღის მაზრის, სოფ. ბოდბისხევის მცხოვრები.

12) ლუკა ლეჟავა, ქუთ. მაზრის, სოფ. კულაშის მცხოვრები.

13) დავით კობახიძე, დ. სამტრედიის მცხოვრები.

14) არჩილ ებრალიძე, ოზურგეთის მაზრის, სოფ. დაბლაციხის მცხოვრები.

15) ლევან ლესურაშვილი, ტფ. მაზრის, სოფ. დიღმის მცხოვრები.

**ბ) ორის თვით:**

16) ზაქარია არჩვაძე, გორის მაზრის, სოფ. ფლავის მცხოვრები.

17) ნიკოლოზ მელაძე, ქუთაის. მაზრის, სოფ. მათხოჯის მცხოვრები.

**გ) თვენახევრით:**

18) ზაქარია ონაშვილი, ტფ. მაზრის, სოფ. პატარძეულის მცხოვრები.

19) პეტრე მამასახლისოვი, გორის მაზრის, ს. ახალქალაქის მცხოვრები.

20) როდიონ კოხრეიძე, ქუთაისის მაზრის მცხოვრები.

21) სილიბისტრო ღაბონია. ქუთ. მაზრის. ს. ცხენისწყლის მცხოვრები.

22) ისააკ ბირყულაშვილი, ტფ. მაზრის, ს. პატარძეულის მცხოვრები.

**დ) ერთის თვით:**

23) ილია ცხვედაძე, ტფ. მაზრის, სოფ. პატარა თონეთის მცხოვრები.

24) ალექსი ჩიტაშვილი, ტფ. მაზრის, ს. გდანის მცხოვრები.

25) იოსებ კონოლამაზაშვილი, სიღნაღის მაზრის, ს. ბოდბის მცხოვრები.

26) გიორგი ცირკულოვი, ტფილისის მოქალაქე.

27) მოსე ბურჭულაძე, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები.

28) იობა მესხიძე, ქ. ახალციხის მოქალაქე.

29) დავით გოგნიძე, გორის მაზრის, ს. კავთისხევის მცხოვრები.

30) შაქრო ფადაროვი, ტფ. მოქალაქე.

31) ტიგრან ზაკუტოვი, ტფ. მაზრის, ს. ვაშლოვანის მცხოვრები.

32) გრიგოლ შახნაზაროვი, ტფ. მოქალაქე.

33) ივანე გრატიაშვილი, ტფ. მაზრის, ს. საკარეჯოს მცხოვრები.

ეს დადგენილება ძალაში შევიდა 1903 წლის, 27 აპრილს, საღამოს 9 საათზე.

## რიხიანი უვიცობა

—

არ სცხვება ბ. ყვირილელი ან რად უნდა გვიკვირდეს გულ-უბრყვილო და გაბედულ უვიცობისაგან ასეთი საქციელი!

ბ. ყვირილელი სწერდა თავის პირველ წერილში სხვათა შორის: „რუსეთის ხელში გადასვლით საბოლოოდ ძირი გამოეთხარა ჩვენში ძველ წყობილებას. თავად-აზნაურობამ გარეშე მტრის ძალას რომ ვეღარ გაუძლო, მტრის მოსაგერებელი მახვილი რუსეთს გადასცა. მოვალეობის თავიდან აშორებით ის უდარდელ ცხოვრების შეძენას ფიქრობდა."

ბ. ყვირილელო, არ შეიძლება თქვენის წერილის ამ ადგილის გამო რამდენიმე კითხვა მოგცეთ? შესაძლებელია ისე გადაჭრით ახსნა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, როგორც ამოწერილი ადგილია? აქვს თუ არა ავტორს წარმოდგენა იმ მოძრაობაზე, რომელიც მოჰყვა საქართველოს რუსეთთან შეერთებას და რომელშიაც დიდი მონაწილეობა მიიღო თავად-აზნაურობამ? როგორ ჰგონია ბ. ყვირილელს, როდის უფრო იცავდა თავად-აზნაურობა თავის წოდებრივ ინტერებს, როცა ამ მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას, თუ როცა ნუნუასა და ლამაზ თვალების ტრფობის მეტი არაფერი აგონდებოდა (ეს კითხვა საგანგებო ინტერესის უნდა იყოს „მატერიალისტისათვის")? ვიმეორებთ პირველ კითხვას—ვის შეუძლია ეგრე გადაჭრით სთქვას, რომ თავად-აზნაურობამ მტრის მოსაგერებელი იარაღი სხვას გადასცა და მოვალეობის თავიდან აშორებით უდარდელ ცხოვრების შეძენას ჰფიქრობდაო, თუ არ გაბედულ უვიცობას?

მიუხედავათ კვალელთა შესანიშნავ გამოკვლევების არსებობისა, ვბედავთ ეჭვი შევიტანოთ ბ. ყვირილელის შეხედულების სიმართლე-საფუძვლიანობაზე: ისეთი ტენდენცია, რომელსაც ბ. ყვირილელი აწერს მთელ მაშინდელ თავად-აზნაურობას, პატარა უმრავლესობასაც კი არ ჰქონია...

რაკი თავად-აზნაურობამ საწადელს მიაღწია, ე. ი. მტრის მოსაგერებელი მახვილი რუსეთს გადასცა და უდარდელი ცხოვრება შეიძინა, „ლოთებო ნეტავი ჩვენა"-ს მეტი რაღა დარჩენოდა ამ წოდებასო, მსჯელობს ბ. ყვირილელი, კვალელ მეცნიერთა გამოკვლევებზე, იმ დროის მასალების ღრმად შესწავლაზე და შედარებით მეთოდზე დამყარებული.

ნუ თუ იმ დროის მასალების შესწავლის დროს „ლოთებო ნეტავი ჩვენა"-ს ტენდენციის მეტი ველარაფერი აღმოაჩინეთ, ბ. ყვი-[illegible]

ასე უნდა უდებო ბ. ყვირილელს, რომ გაიგოს, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ხანა ბ. ბ. მახარაძისა და ჟორდანიას „გამოკვლევათა" შემდეგაც შეუსწავლელი რჩება და რომ გადაჭრით ისეთ აზრების გამოთქმა, როგორც ბ. ყვირილელმა ინება, მხოლოდ გაბედულ უვიცობის შედეგია.

ვიმეორებთ, „ლოთებო ნეტავი ჩვენა"-სა და „ვარდ-ბულბულის" გაზეპირება არ კმარა მთელ ისტორიულ ხანის ასაწონ-დასაფასებლად.

ალ. ჭავჭავაძის ოპტიმისტიური კილო კლასობრივ ფსიხოლოგიით აიხსნება და ეთანხმებოდა მაშინდელ გაბატონებულ წოდების ოპტიმისმსო; მაგრამ დრონი იცვალნენ: ბატონებს ყმები ჩამოართვეს და ოპტიმისმიც გაჰქრა—გაისმა გოდება და ტირილი დაკარგულ უპირატესობრივ მდგომარეობის გამოო, ბრძანებდა ბ. ყვირილელი და ამის დასამტკიცებლად და დასახასიათებლად აკაკის ლექსები მოჰყავდა. ჩვენი მამები თუ სტირიან, სტირიან თავად აზნაურობის დაცემის მიზეზითო. ამაზე ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ჩვენი „მამები"-ს ტირილი წოდებრივი არ ყოფილა—„მამები" წოდებრივ უპირატესობის წინააღმდეგი იყვნენ და არ შეეძლოთ ბატონ-ყმობის გაუქმების მიზეზით ცრემლები ეღვარათ; პირიქით, დიდ სიხარულსაც აცხადებდნენ.

ყვირილელი ეხლა გვეუბნება, რომ როცა მამებზე ლაპარაკობდა, ჩვენი მოღვაწე-მწერლები კი არ ჰყავდა სახეში, არამედ თვით საზოგადოებრივი მოძრაობა.

კაცი სწერს—ალ. ჭავჭავაძის ოპტიმისტიური კილო კლასობრივ ფსიხოლოგიით აიხსნება და ეთანხმებოდა მაშინდელ გაბატონებულ წოდების ოპტიმისმსო; შემდეგ ალ. ჭავჭავაძის ოპტიმისმს უპირდაპირებს ჩვენი „მამების" გოდება-ტირილს და მასაც წოდებრივს უწოდებს და ეხლა კი თამამად, წარბ-შეუხრელად გვეუბნება—ჩვენი მოღვაწე-მწერლები არ მყავდა სახეში, მე ისტორიულ-ლიტერატურული თემა არ ამიღია ჩემი წერილის საგნადო. რომ ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევა არ არის. ყვირილელის წერილი, ეს ცხადია, მაგრამ ისიც არა ნაკლებ ცხადია, რომ, როცა „მამები"-ს მამულიშვილობაზე და გოდება-ტირილზე ლა

პარაკობს და აკაკის იმოწმებს, ჩვენი მოღვაწე-მწერლები ჰყავს სახეში და არც შეიძლება არ ჰყავდეს. ეს, მგონი, მარტო ბ. ყვირილელს არ ესმის.

ორიოდე სიტყვა ჩვენი „ბოდიში“-ს შესახებ. საპასუხო წერილში ნათქვამი გვქონდა, რომ აზრს, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ცხადათ და გარკვევით უნდა გამოთქმა-თქო და რაკი ბ. ყვირილელი ამბობს, რომ სრულებით იმის თქმა არ უნდოდა, რაც დავაბრალეთ, უკან მიგვაქვს ჩვენი ბრალდება-თქო.

ბ. ყვირილელს არ ესმის მოპირდაპირის პატივისცემა, ეს მისთვის, ალბად, მიუწდომელი ღირსებაა; და აბა რა საკვირველია, რომ ჩვენი ზრდილობიანი შენიშვნა მან „გაქცევად“ მონათლა. ერთი კი დაავიწყდა ავტორს, რომ თავის საპასუხო წერილში თავის პირველ წერილში შესაფერ ადგილის აზრის ცხად-ყოფისათვის ფრჩხილებში რამდენიმე სიტყვა ჩაუმატა. „მას აქეთ ქართველობის უმრავლესობას ყმის ბორკილებს გარდა არა დაუკარგავთ-რა“-ო, სწერდა თავის პირველ წერილში. ჩვენ და ბევრმა სხვამაც ეს ადგილი ისე გავიგეთ, როგორც ჩვენ პირველ შენიშვნაში იყო ნათქვამი. ბ. ყვირილელის პასუხში მოყვანილია იგივე ადგილი ასე: „მას აქეთ (ე. ი. ალ. ჭავჭავაძის ხანას აქეთ) ქართველობის უმრავლესობას ყმის ბორკილებს გარდა არა დაუკარგავთ-რა“-ო! ფრჩხილებში ჩამატებული სიტყვები რომ პირველ წერილშიაც ყოფილიყო, იმ მძიმე ბრალს არავინ დასწამებდა ბ. ყვირილელს. ეს ვსთქვით ჩვენ და ბ. ყვირილელი ამას ეძახის „სთქვა და გაიქცა“ ს.

უვიცობის ერთი შეუდარებელი თვისება ის არის კიდევ, რომ თავი ყოველთვის გამარჯვებული ჰგონია და მტერი ომის ველიდან გაქცეული.

# საზღვარ-გარედ

**ბალკანეთი.** ბრწყინვალე პორტა ერთობ თურმე შეშფოთებულია [illegible] ევროპიის სახელმწიფოებმა სამხედრო გემები გაგზავნეს სოლუნის ნავთსადგურში: ვაი თუ გემებიდან ჯარი გადმოსხან და პირდაპირ, აქტიურად ჩაერიონ მაკედონიის აწეწილ-დაწეწილ საქმეშიო. მაგრამ, თუ ავსტრიის ოფიციოზურ გაზეთს დავუჯერეთ, ოსმალეთის შიში საფუძველს მოკლებული უნდა იყოს, საუბედუროთ: ოსმალეთის ზღვაში სამხედრო გემების გაგზავნის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ საჭიროების დროს ავსტრიის ქვეშევრდომები დაიცვანო, სწერს ხსენებული გაზეთი. ესკადრის გაგზავნა კარგა ხანია გადაწყვეტილი იყო. იტალიის განზრახვაც ისეთია, როგორც ავსტრიისა. დასასრულ გაზეთი ამბობს: „არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ, როცა სახელმწიფოები სამხედრო გემებს გზავნიდნენ სოლუნის ნავთსადგურში, განზრახვა ჰქონდათ ჩარეულიყვნენ მაკედონიის რევოლიუციაში. სახელმწიფოები არ ჰფიქრობენ საქმეში ჩარევას; ისინი დარწმუნებული არიან, რომ ოსმალეთი მოვალეა და შესძლებს კიდეც დასძლიოს მაკედონიის მღელვარება. სამხედრო გემები დარჩებიან მანამდე, სანამ უცხოელები სავსებით არ იქნებიან უზრუნველ-ყოფილი“.

ოსმალეთი მოვალეა და კიდეც შესძლებს დასძლიოს მაკედონიის მღელვარებაო! ნეტავ რაზედ არის დამყარებული ეს რწმენა ევროპის სახელმწიფოებისა? ამდენი ხანია მაკედონია უკიდურეს მდგომარეობაშია და ოსმალეთს არა თუ მაკედონელების დამშვიდება ვერ მოუხერხებია, პირიქით, საქმე უფრო და უფრო მწვავდება და ხალხის მღელვარება დღითი-დღე საშინელის ძლიერებით იზრდება. მარტო ალბანელების წინააღმდეგობა კმარა ოსმალეთის მთავრობის სრულ უნიჭობისა და უვარგისობის დასამტკიცებლად: აქამდე ვერა გაუწყვია-რა თუ არ სურს გააწყოს ფანატიკოს ქვეშევრდომებთან. ალბანელებიც უფრო და უფრო თამამად გრძნობენ თავს და აი როგორ პროკლამაციებს ავრცელებენ ხალხში: „ყური დაგვიგდეთ ყველა ქალაქებმა და ოლქებმა! ალბანიის ხალხი შემდეგ გადაწყვეტილებამდე მივიდა: ყოველი ალბანელი მზად უნდა იყოს ომისათვის; როცა ჩვენი შიკრიკი მეორედ გამოაცხადებს ამას, ყველანი, დიდი და პატარა, ჩვიდმეტი წლიდან სამოცდა-ათამდე, უნდა აჩქარდეთ; ყველანი შეიკრიბენით დროშების ქვეშ, რომელნიც უკვე დამზადებული გვაქვს. იმ დროისათვის ყველამ თავი უნდა დაანებოს პირად ანგარიშებსა და შურისძიებას. ვინც იმ დროსაც პირად ანგარიშებით იქნება გატაცებული, ალბანელებ შორის ადგილი არა აქვს. კერძო, პირადი ანგარიშები უნდა დაივიწყოთ. შვიდი მეფე (დიდი სახელმწიფოები) [illegible] ვერ წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ არაფრის არ გვეშინია, თუნდ სამოცდა-ათი და კიდევ სამოცდა-ათი იყვნენ!..“

სკუტარიდან სანდო კორესპონდენტი იწერება, რომ იქ ადგილობრივ საქალაქო სამ[illegible]ლების კრება, რომელზედაც მსჯელობა ჰქონდათ სხვა-და-სხვა კუთხიდან მოსულ მოწოდებაზე: ყველა სკუტარელები, განურჩევლად სარწმუნოებისა, უნდა შეერთდნენ მთავრობისა და რეფორმების შემოღების საწინააღმდეგოდო. კრებამ დეპეშა გაუგზავნა სულთანს—სკუტარელები მზადა ვართ ვებრძოლოთ ყოველ უცხოელ სახელმწიფოს, რომელიც-კი ოსმალეთს ომს გამოუცხადებსო.

◆ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ უმთავრესი უბედურება ბალკანეთის ხალხებისა მათი ურთი-ერთი მტრული განწყობილებაა. აქამდე ვერ შეთანხმებულან, ვერ მორიგებულან და ამიტომაც პასუხს ვერ აძლევენ ვერც ოსმალეთსა და ვერც იმ სახელმწიფოებს, რომელთაც თავიანთ დიპლომატიურ ხრიკების ასპარეზად გაუხდიათ ბალკანეთი.

ამ უთანხმოების, ან უკედ რომ ვსთქვათ, განხეთქილების შედეგია ის გარემოება, რომ ბალკანეთის დამოუკიდებელი სამთავრო-სამეფოები სულ სხვა-და-სხვა ნაირად უცქერიან მაკედონელების მოძრაობას: საბერძნეთის სამარცხვინო ქცევაზე მაკედონიის საქმეში არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი; იგი ეხლაც კი არ ღალატობს ამ საქციელს—„ხალხი და ოფიციალური წრეები საბერძნეთისა მეტად მტრულად უყურებენ მაკედონელ ბოლგარებს და აცხადებენ იმედს, რომ სახელმწიფოები სრულ თავისუფლებას მიანიჭებენ ოსმალეთს სასტიკად მოეპყრას ბოლგარელ რევოლიუციონერებს... პოლიციამ დაატუსაღა პირეოსში ოთხი ბოლგარელი, რომელნიც სოლუნიდან მოვიდნენ და ნაპირზე აპირებდნენ გადმოსვლას. მთავრობამ განკარგულება მოახდინა უსასტიკესი ღონისძიება მიიღონ იმათ წინააღმდეგ, ვინც მაკედონიაში დააპირებს საიდუმლოდ გადასვლას“.

სერბიაც მტრულად უყურებდა რევოლიუციონერების მოძრაობას და მეტად ჰკიცხავდა მაკედონელ კომიტეტების მეთაურებს. მაგრამ ბოლოს დროს ასეთი მიმართულება შეიცვალა—ეს ერთი ხანია სერბიის პრესა, განურჩევლად მიმართულებისა, თანაგრძნობით ლაპარაკობს მაკედონელების მოძრაობაზე. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ ყოფილ პირველ მინისტრის ვუიჩის გაზეთში:

„მაკედონელ კომიტეტების ორგანიზაცია მოედო მაკედონიის ყველა სლავებს, განურჩევლად ეროვნებისა. რამდენიმე წლის წინად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ არსებობს მხოლოდ ბოლგარული კომიტეტები, რომელნიც ემსახურებოდნენ ბოლგარულ ეროვნულ პროპაგანდის საქმეს. მაგრამ, როცა ამ კომიტეტებმა აშკარად დაუწყეს ბრძოლა ოსმალეთის ჟანდარმერიას და ჯარებს ყველა ქრისტიანების განსათავისუფლებლად, მათ შეუერთდნენ მაკედონელი სერბებიც. ეს გარემოება არავის არ უნდა აკვირვებდეს, რადგან ოსმალებისაგან ტანჯული არიან არა მარტო ბოლგარები, არამედ სერბე[illegible] მხოლოდ ის არის, რომ ამ კომიტეტებს ეხმარება კარგად მოწყობილი საზოგადოება, სერბიაში კი ყურსაც არავინ აუხოვებს. რადგან არც მთავრობა უწევს მფარველობას და არც ტანჯულ მდგომარეობას ელება ბოლო, სერბი იძულებულია კომიტეტებს შეუერთდეს. ზოგი რევოლიუციონერების რაზმში მიდის, ზოგი მთაში გარბის, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს. აჯანყებულებს ვინც უერთდება, ძარცვა-რბევისათვის კი არ სჩადის ამას, არამედ იმისათვის, რომ სამაგიერო გადაუხადონ მტარვალებს, დაიცვან ქონება და დაობლებული ოჯახები. რევოლიუციონური ორგანიზაცია მთელ მაკედონიას მოედო. მაკედონელი სლავი, სერბია იგი თუ ბოლგარელი, საჩივრით ოსმალეთის მოხელეებთან როდი მიდის, არამედ ადგილობრივ კომიტეტებთან. კომიტეტები საქორწინო საქმეებსაც კი სწყვეტენ. სასტიკად სცდებიან ისინი, ვინც ჰფიქრობენ, რომ კომიტეტებს ადვილად მოერევიან. მეტი მოთმინება აღარავის აქვს. ვერავინ იტანს ოსმალეთის ძალმომრეობას. მაკედონელ სლავის ნამდვილი მდგომარეობა ასეთია“.

◆ ბოლგარიის სატახტო ქალაქში ერთ ალბანელს (თომა აბრამი) დაუარსებია ფრანგულ ენაზე ალბანური ორგანო „ლ'ეკლერ“. მაკედონიის უმთავრეს კომიტეტის თავმჯდომარეს მიხაილოვსკის შემდეგი წერილი გაუგზავნია ახალ რედაქციისათვის: „ჩვენ განუწყვეტლივ ვუყვირებთ ამ უქმ-მჭამელების, საჭურისების, მონების და ფავორიტების ბრბოს, რომელიც „წითლად შეღებილ სულთანს“ გარს ახვევია,—გასწმინდეთ ბოსფორი! თქვენ მკვდარ წარსულის წარმომადგენელი ხართ; თქვენ ყოველ წესის უარყოფა ხართ; თქვენ ძარცვითა და ძალმომრეობით სცხოვრობთ; წადით ტურებთანა და აფთრებთან—ერთი ჯიშისა ხართ!“.

# ახალი ამბავი

◆ დღეს, 1 მაისს, ქართველი ერი და ეკკლესია დღესასწაულობს **თამარ მეფის** ხსენებას. ამის გამო ანჩისხატის ტაძარში დღეს გადახდილი იქმნება სადღესასწაულო წირვა. იგალობებს ქართველ მომღერალთა ორი გუნდი (სურათი იხილე დამატებაში).

◆ ჩვენ ამას წინად ვაუწყეთ მკითხველთ, რომ უმთავრეს სამხედრო სასამართლომ დაამტკიცა განაჩენი კანტროლის მოხელის **გედევანშვილისა** და კონდუქტორის **სტურუას მკვლელთა** შესახებ. ამ განაჩენით სამივე დამნაშავე მოლოკანი სიკვდილით უნდა დაესაჯათ. კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწემ, რომელსაც ეს განაჩენი გარდაეცა საკონფირმაციოდ, აპატია დამნაშავეთ და სიკვდილით დასჯა **15** წლის კატორგით შეუცვალა.

◆ გუშინ-წინ, **29** აპრილს, და გუშინ, **30** ს, ტფილისის კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა ტირასპოლელ რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსის ედუარდის მიერ (ბარონ დე-როპპი; ცნობები და სურათი იხ. დღევანდელ დამატებაში). გუშინწინდელ წირვაზე, რომელსაც დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, წაკითხულ იქმნა ლათინურად, ქართულადა და პოლონურად პაპის ეპისტოლე ყოვლად-სამღვდელო ედუარდის ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსად დანიშვნის შესახებ. შემდეგ ეპისკოპოსმა წარმოსთქვა ქადაგება ფრანგულათა და პოლონურად, რომელიც ქართულად გადათარგმნა დონ იოვანემ. გუშინდელ წირვაზე ყოვლად სამღვდელომ მსურველნი აზიარა.

◆ ტფილისის **სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა დიდის** კრებამ დაამტკიცა ბანკის გამგეობის მოხსენება ორის დამფასებლის მომატების შესახებ და კრების გაგრძელება საღამოისათვის გადაიდო. ანგარიში კრებისა იხილეთ ქვევით.

◆ **ბაზარი და სეირნობა „ქართ. შორის წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოე-

# ფელეტონი

## გახუნებულ აზნაურის წერილები

## VII

დიდი საზოგადოებრივი ძალა აქვს ბეჭდვით სიტყვას. ამ სიტყვას სულაც შეეძლო საუცხოვო და სამაგალითო სკოლად გახდომოდა მთელს ჩვენ ხალხს და თვით ჩვენ გაკოტრებულ, გახუნებულ თავად-აზნაურობასაც კი, იმ ნაწილს მაინც, რომელიც მონდომებულია ძველი გახუნებული კანი შემოიცალოს და უფრო ახალი, უფრო გონიერი და უხუნო ფერი მიიღოს. პრესას ტყუილად კი არ ეძახიან მეექვსე დიდ სახელმწიფოს!

თუ არაქჩეევისა და ალა-მაჰმადხანის დროისეულ წესებით სულს არ უხუთავენ, თუ ნამეტან მელურის სიფრთხილით არ აწნდობენ და ძალას არ უკარგვენ და წრეს-გადასულ კეთილ-გონიერების მუხრუჭს არ უჭერენ, ბეჭდვით სიტყვას ყოველთვის ჰქონდა და ექნება დიდი საზოგადოებრივი ძალა. ამ ძალას დიდი ნიჭი და უნარი აქვს: შეუძლიან ადამიანის სული გაასპეტაკოს, უწმინდეს იდეალიზმისა და უწმინდეს კაცთ მოყვარეობის მწვერვალებამდე აამაღლოს. დიდის ხუროთ-მოძღვრის ნიჭიცა აქვს ამ ძალას: რაც ცხოვრებაში ძველი და დაძაბუნებულია, ყველაფერს ანგრევს და ნანგრევებზე ახალ, სუფთა და ნათელ ცხოვრების წესებს აგებს.

ბეჭდვითი სიტყვა დიდი და ძლიერი მასწავლებელია ცხოვრებისა; სწავლების თეორეტიულ მხრით და ცხოვრების დოგმატებით როდი კმაყოფილდება,—თავის პედაგოგიურ მოქმედებას ცოცხალის ხალხის ცოცხალის მაგალითებითაც ასურათებს. პრესა ისეთი სკოლაა, სადაც ბიუროკრატიზმის ხრჩოლი სული ვერა ბოგინებს. აი ამაშია დიდი განსხვავება ამ სკოლასა და პედაგოგიურ სკოლას შუა, რომელიც დიდ-ხანს იტანს და ითმენს წმინდა ჰაერის უქონლობას.

ხშირად თვით უწმინდესი და უმაღლესი აზრი ჰქრება ხოლმე, სადმე ვიწრო კუთხეში და მიყრუებულ სოროში მომწყვდეული, მარტო იმ მიზეზით, რომ ამ ნათელ და ცხოველ აზრის გავრცელება შემთხვევით მშიშარა, გონება-ბნელ, ლაჩარ და ცხოვრებისაგან დამცირებულ და გალახულ კაცებს ჩაჰვარდნიათ ხელში, ისეთ კაცებს, რომლებიც ცხოვრების ყურ-მოჭრილ მონებად გამხდარან. მაშინ ეს ცხოველი აზრი ჰქრება, ჰკვდება და მახინჯდება ამ დამონებულ კაცების ხელში, რადგან ამ კაცებს მარტო ის უნდათ, რომ ერთგულ მონასავით ცხოვრების გარემოებათა და დროის მოთხოვნილებას აჰყვნენ და ემსახურონ; ცხოველი აზრი მაშინ იკარგება კაცობრიობისათვის. მაგრამ თუ ეს აზრი ერთად-ერთ საუკეთესო გამავრცელებელ ძალას—პრესას ცოტათი მაინც უახლოვდება, ხალხი მაშინვე ათასობითა და ასი ათასობით ითვისებს ამ აზრის ცოცხალ სულსა, იმის გავლენით უმჯობესდება, მაღლდება, სპეტაკდება და მერე თითონაც სხვას გადასცემს ამ ძალას. ეს თესლი ეცემა ცოცხალ, კეთილ ნიადაგზე, ფესვს იდგამს, ღვივდება, ცოცხლდება და არას დროს აღარა კვდება.

ასეთი შეხედულება მაქვს ბეჭდვით სიტყვის მნიშვნელობაზე. ამ თვალით დავუცქერდი ჩვენებურ კავკასიურ პრესასაც და დავინახე, რომ ეს დიდი შემაერთებელი ძალა ჩვენში უფრო გამცალკევებელ ძალას წარმოადგენს, რადგან ჩვენში ბეჭდვითი საქმე უცნაურადაა მოწყობილი; სოლიდარობა ხომ მთლად გამქრალია. ნება მიბოძეთ გადარიბებულ, გახუნებულ აზნაურს, გულ-ახდილად მოგახსენოთ, რასაც ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებზე ვფიქრობ. ისე დიდხანს ვიყავ გაჩუმებული ჩემ ჭორიანთ-უბანში, რომ ეხლა ვეღარ ვამაჩუმებთ.

როგორ გგონიათ, ბატონებო, ჩვენ რომ ათი კაცი შევკრიბოთ, რაღა თქმა უნდა, ყველას საკუთარი შეხედულება ექნება სხვა-და-სხვა საგნებზე; აშკარაა, ყველა ათ კაცს თავისი საკუთარი აზრი, სახე და ელფერი ექნება, არა? მაგრამ ხომ შეიძლება, ისეთი საგნებიც დავასახელოთ, რაზედაც ყველანი შეთანხმდებიან და ერთის აზრისა იქნებიან! აი თუნდ ვსთქვათ, მაგალითად, ყველას რომ ასეთი უცილობელი და მტკიცე აზრი წარვუდგინოთ: ბნელი ღამე—ბნელია; აქ, მგონია, აღარაფერი უნდა იყოს საკამათო და საკინკლაო. ყველა ათი კაცი იტყვის: „დიახ, თუ ღამე ბნელია, მაშასადამე ბნელი ღამე ყოფილა!“ მაგრამ აბა ერთი სცადეთ და ეს ჭეშმარიტება ჩვენის პრესის წარმომადგენლებს წარუდგინეთ?! თავდაპირველად ერთი ხმაურობა ასტყდება. პასუხსაც ხომ ყველანი როდი მოგცემენ; ზოგი შეშინდება კიდეც, აქ ვერაგობა და ეშმაკობა არა იყოს რამე. თუ ეცდებით, რომ ყველას ერთი რამ გარკვეული პასუხი ათქმევინოთ, ეს სულ ტყუილი ცდა იქნება.

— გესმით, აქ რაღა ჩიჩინი და ფიქრი უნდა: ბნელი ღამე—ბნელია! მაშ აბა, ყველამ ერთად სთქვით: ბნელი ღამე—ბნელია!

დიახ, დიახ როგორ არა!

ერთი რედაქციის ბანაკი, მაგალითად, იტყვის: თუმცა ბნელი ღამე მართლაც მობნელოა, მაგრამ ჯერ ამ სიბნელის მიზეზი უნდა გავიგოთ. მერე მოჰყვება და ქალა-

ბის" სასარგებლოდ გაიმართება 11 მაისს, თავად-აზნაურთა ქარვასლის ბაღში.

◆ გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის კოკჩაევის მოხსენება ტფილისში **სტატისტიკურ აღწერილობის** მოხდენის შესახებ და ხმოსნის ვესელოვზოროვის წინადადება სტატისტიკურ ბიუროს დაარსების გამო. კოკჩაევის მოხსენების თანახმად, აღწერილობის მოხდენა სულ დაჯდება 7—8 ათასი მანეთი. გამგეობამ დაამტკიცა მოხსენება და დაადგინა სთხოვოს საბჭოს ამ აღწერილობის მოსახდენად ნებართვაზე შუამდგომლობის აღძვრა. ხმ. ვესელოვზოროვის წინადადება კი უდროოულად იცნო საშუალებათა უქონლობის გამო.

◆ ტფილისის მაგალითს ბაქოზედაც უმოქმედნია. ერთს ადგილობრივ მდიდარს, როგორც „ბაკუ" გადმოგვცემს, განუზრახავს საჭირო **ფულის შეწირვა ქალაქისთვის** საავადმყოფოს გასამართავად. საავადმყოფო 50 კაცისთვის უნდა იყოს. ჯერ არ ამხელენ შემომწირველის ვინაობას.

◆ სამოსწავლო უწყებამ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობის **10 სტიპენდიისათვის** გადადებული ფული წელიწადში 750 მან. საკმარისი არ არის და ათის მოწაფის სწავლის ფასის გასასტუმრებლად კიდევ არის საჭირო 360 მან. წელიწადში. გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საბჭოს საჭირო ფულის მომატება.

◆ **ტფ. სამრევლო საეკლესიო სკოლების** საჭიროებისათვის სასულიერო უწყებამ ქალაქის გამგეობას სთხოვა 3500 მან. შეწევნა. გამგეობამ დაადგინა უარი ეთქვას ამ თხოვნაზე, რადგან ქალაქს ამ ჟამად საშუალება ნაკლები აქვს და საკუთარ სკოლების საჭიროებასაც ძლივს უძლვება.

◆ გუშინ, 30 აპრილს, ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის 150 მოსწავლე **სანაინში წავიდა საექსკურსიოდ.** მოსწავლენი დღეს საღამოთი უნდა დაბრუნდნენ.

◆ როგორც „კავ."-ს ატყობინებენ, პეტერბურგში უკვე შეუმუშავებიათ პროექტი **სოხუმში ნავთ-სადგურის გამართვისა.** პროექტი განსახილველად გადაეცა საინჟინერო საბჭოს.

◆ ავლაბრის საქალაქო სკოლას **ნეკრასოვის სახელი** ეწოდა, რუსეთის პოეტის ნეკრასოვის ხსენების პატივსაცემლად.

◆ მივიღეთ ჩვენის ცნობილის პედაგოგის **ი. ს. გოგებაშვილის ახალი თხზულება** რუსულს ენაზე „როგორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასიური სახალხო სკოლა". **წიგნი** ღირს 30 კაპ. ყოველ გაყიდულ ეგზემპლიარის ფასიდან თითო შაური გადადებულია სტუდენტთა დამხმარებელ კავკასიელ საზოგადოების სასარგებლოდ. წიგნის გამოწერა შეიძლება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგნის მაღაზიიდან.

◆ მივიღეთ **ახალი ქართული წიგნი** „კათოლიკეთა ეკკლესია ბათუმში" ზ. ჭიჭინაძისა. წიგნი შეიცავს 23 გვერდს, ფასი არ არის აღნიშნული.

◆ შორაპნიდან გვატყობინებენ: „სადგურ ბელოგორსა და შორაპანს შუა, 27 აპრილს, რკინის გზის მატარებლიდან გადმოვარდა უმაწვილი კაცი. არავინ არ იცის ამ უმაწვილ კაცის ვინაობა. უბეში უნახავს მატარებლის ბილეთი და წერილი. ბილეთზე ამოუკითხნიათ „რაჟდენ გაგოშვილი". წერილს ქვემოდან აწერა „შენი თუშარული". დღეს შორაპანში ექიმებმა უნდა გასჭრან".

◆ ბაღდადიდან გვატყობინებენ: 29 აპრილს, საღამოს 7½ საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ბუფეტის პატრონის ისიდორ ჩიგოგიძის ხის სახლს. ცეცხლი მალე გადავიდა სამზარეულოსა და სხვა შენობებზე. დაიწვა ზემოხსენებული სახლი, სამზარეულო და სხვა შენობანი. ცეცხლი საღამოს 9 საათზე ჩააქრეს.

◆ ჭიათურიდან გვწერენ: რკინის გზის ჭიათურის შტოს მე-33 ვერსზე 29 აპრილს კლდეს ანგრევდნენ. როდესაც წამალი ჩაყარეს და აფეთქეს, მძიმედ დაშავდა მუშა ბერაია, ხოლო მსუბუქად—ჩახუნაშვილი და ნიკოდეტი. დაშავებულნი ქუთაისის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ქალაქის გამგეობამ, შეიხ-ულ-ისლამის თხოვნით, 300 მანეთი გადასდო მაჰმადიანთა სასაფლაოსკენ მიმავალ ქუჩის შესაკეთებლად.

◆ ტფილისს ჩამოვიდა მისის უმაღლესობის პრინცის პ. ა. ოლდენბურგის შეწევნის სასწავლებელთა სამკე ფ. ა. სიდოროვი.

◆ სახლის პატრონმა აივაზიანცმა განუცხადა ქალაქის გამგეობას, რომ მისი სახლი ნიკოლოზის ქუჩაზე დაზიანდა ქალაქის წყლის მილის მიზეზით; ტექნიკოსების გამოანგარიშებით, მას 14.534 მ. 45 კაპ. უზარალდა; გარდა ამისა, აცხადებს აივაზიანცი, ტექნიკოსთა მოწვევაზე და სხვა ამგვარზე დავხარჯე ფული; ასე რომ სულ ქალაქის მიზეზით 18.350 მ. 50 კაპ. ვიზარალე და გთხოვთ ეს მიზღოთო. თანაც მომჩივანი 10 დღის ვადას აძლევს ქალაქს პასუხისათვის; შემდეგ-კი სასამართლოს მივმართავო.

◆ მ. გ. მაკაროვის მემკვიდრეებმა გადასცეს ექიმს ისტამანოვს 1000 მ. წმ. მაგდალინას თავშესაფარის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად.

◆ ავლაბრის სახლებში წყლის მილის გასაყვანად ქალაქის გამგეობამ, თანახმად წყლის მილის გამგის ბ. ქურდიანის მოხსენებისა, 1823 მან. გადასდო.

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ კიშინევში მომხდარ არეულობის დროს დაშავებულ ებრაელთა სასარგებლოდ ქუთაისში ფულს იკრებენ. შემომწირველნი, უმეტესად ებრაელთაგან, ბლომად მისდით საქმის მოთავეთ.

◆ კვირას, 27 აპრილს, ქალაქის ბაღში ბ-ნ დანკეს ინიციატივითა და ქ-ნ სავიტას გამგეობით გაიმართა სეირნობა ქუთაისში ახლად დაარსებულ ებრაელთა სკოლის სასარგებლოდ. მთელი შემოსავალი 200 მანეთამდის იყო. სეირნობას ხელი შეუშალა მოღრუბლულმა ცამ და ცოტა წვიმამ.

◆ შაბათს, 3 მაისს, ქუთათური ებრაელები აპირებენ საცეკვაო საღამოს გამართვას კიშინევში დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ. იმედია, ჩვენი საზოგადოება, ეროვნობისა და სარწმუნოების განურჩევლად, დაესწრება ამ საღამოს.

◆ ორშაბათს, 28 აპრილს, ქუთაისს ეწვია საქართველოს ეგზარხოსი ალექსი.

◆ 29 აპრილს, შუადღისას, ქუთ. მაზრის სასამართლოს მოხელემ ი. ქ—ძემ ექვსჯერ ესროლა რევოლვერი სასამართლოს მებუფეტეს, მაგრამ ააცდინა. ქ—ძეს მებუფეტეს ფული ჰმართებია სხვა-და-სხვა დროს დანახარჯისა; ამას უჩივლია სასამართლოში, რაც ქ—ძეს შეურაცხყოფად მიუღია. დამნაშავე დააპატიმრეს.

## რუსეთის ქრონიკა

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან შესდგა სამუდამო კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ხოლმე უბედურებათა მიზეზნი სამთო ქარხნებსა და მღვიმე-მაღაროებში. ამავე კომისიამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი ამ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად.

◆ ბახმუტიდან გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ: „ყოველ დღე შიდა გუბერნიებიდან აქეთკენ რკინის გზით დიდ-ძალი უადგილო მუშა ხალხი მოდის. მაღაროებსა და ქარხნებში სამუშაო ცოტაა. ყველგან კრიზისია".

◆ პოლიტეხნიკუმის დაარსება ნიჟნი-ნოვგოროდელებმაც განიზრახეს. პირველად შუამდგომლობა ქალაქმა 1898 წელს აღძრა, მაგრამ დღემდე საქმეს არა ეშველა-რა. ქალაქი თავისს მხრივ ჰპირდება პოლიტეხნიკუმს ადგილს და 10,000 მანეთს ყოველ წლივ ან 200,000 მანეთს ერთხანად.

◆ 24 და 25 აპრილს მოსკოვის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე იმ უწესოებათა შესახებ, რომელიც მოახდინეს მუშებმა 2 მარტს მეშჩერინების სამანუფაქტურო ქარხანაში. პალატამ ექვს ბრალდებულს გადაუწყვიტა 8 თვით დაპატიმრება თითოს, 10 ბრალდებულს-1½ თვით და 10 ბრალდებული გაამართლა.

◆ 20 აპრილს პეტერბურგში გაიმართა მწერალთა „საამხანაგო სადილი", რომელზედაც 200 კაცამდე შეიკრიბა. დაესწრნენ ისეთნიც, რომელნიც ებრაელთა აკლების დროს კიშინევში ყოფილან. ამათ უამბნიათ ყოველივე და შეკრებილ საზოგადოებას დაუდგენია პეტერბურგის ლიტერატორთა სახელით შემოწირულებათა მიმღებ კომიტეტს კიშინევში გაეგზავნოს წერილი და გამოეცხადოს მწუხარება იმ ძალ-მომრეობის გამო, რომლის მსხვერპლადაც უდანაშაულო ებრაელნი გახდნენ. ამასთან შეუდგნენ დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის შეკრებას და იმავე დღეს ერთმანეთ შორის მოაგროვეს 456 მანეთი.

◆ პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობას დაუდგენია, პეტერბურგის 200 წლის იუბილეის დღესასწაულებზე მიიწვიოს წარმომადგენელნი რუსეთის ყველა საგუბერნიო ქალაქისა და იმ სამაზრო ქალაქებისა, რომელნიც პეტრე დიდის დროს გაშენდნენ.

◆ „ნოვოსტი"-ს კიშინევიდან სწერენ: „დღისით ცოტაოდენი მოძრაობა კიდევ არის ქალაქში, მაგრამ საღამოთი სამარისებური სიჩუმე სუფევს; ქუჩაში კაცს ვერ შეჰხვდებით. იმ ქუჩებში, სადაც მძარცველნი დათარეშობდნენ, ბევრს ღამე გავლისაც-კი ეშინიან, რადგან სახლები ცარიელია და მინგრეულ-მონგრეული. ბევრი ქალი და ბავშვი შიშისაგან ჭკუაზედ შეიშალა. ჩვენ ვიცით, მაგალითად, ასეთი ამბავი. მძარცველნი დაეცნენ ებრაელს, მასწავლებელს მოსე უშემირსკის, გაძარცვეს და აიკლეს იმისი სახლი, შემდეგ კეტებით თვით მასწავლებელს მიჰვარდნენ და იქვე წააწვინეს, მძიმედ დაჭრილი. შვილი უშემირსკისა, ამ სურათის დანახვაზე, ისე შეშინდა, რომ ჭკუაზე შეირყა, ქუჩაში გამოვარდა, მთელი დღე დარბოდა, ტელეფონს ეძებდა და იძახდა, უნდა იმპერატორ ვილჰელმს შევატყობინო ყველაფერიო. 16 აპრილს მოხდა ადგილობრივ საბჭოს კრება. კრებამ განიხილა განცხადებანი ღარიბ ებრაელებისა, ქალაქის დუქნებისა და ფარდულების მოიჯარადრეებისა, რომელნიც იჯარის პატიებას თხოულობდნენ. საბჭომ თავი ისახელა და, თავისდა სამარცხვინოდ, არ შეიწყნარა დაზარალებულთა თხოვნა. საზოგადოდ, ჩვენს საბჭოს არც ერთი გროში არ გადაუდვია დაზარალებულთა დასახმარებლად".

◆ როგორც „ბესარაბეც"-ი გადმოგვცემს, 20 აპრილს გუბერნატორს ფონ-რააბენს შეუკრებია კიშინევისა და მახლობელ სოფლების საპატიო პირნი, მამასახლისები და სხვანი და გამოუცხადებია: „კიშინევის უწესოებაში ვიღაც ბოროტი პირნიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელნიც ამბობდნენ: მთავრობისაგან ბრძანება მოვიდა, ამოჟლიტეთ ებრაელნიო. ასეთი ბრძანება არასოდეს არა ყოფილა. თქვენ უნდა წაჰვიდეთ და ეს ჩემი სიტყვები ყველას გადასცეთო".

◆ „პეტ. ვედ."-ს სწერენ, „როგორც ეხლა ირკვევა, ებრაელთა აკლება წამქეზებელთა საქმეა. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს „ბესარაბეც"-ის გამომცემელ კრუშევანს, რომელიც ექვსი წელიწადია ჯვაროსანთა ომს ქადაგებს ებრაელთა წინააღმდეგ. ხმა ებრაელთა აკლების შესახებ ადრე გავრცელდა. ებრაელებმა მიჰმართეს და შეატყობინეს ყოველივე, ვისაც ჯერ იყო. მაგრამ შემოუთვალეს, რომ საჭირო ზომები მიღებულიაო. 6 აპრილს-კი ბრბო, რომელსაც ინტელიგენტნი წინამძღოლობდნენ, შეუდგა ებრაელთა აწიოკებას. ებრაელებმა ხელ-ახლა მიჰმართეს, მაგრამ შეუთვალეს, რომ რაზმი გაგზავნილიაო. ბევრგან პოლიციის თვალწინ ჰხოცავდნენ ებრაელებს, მაგრამ პოლიცია ღიმილით უყურებდა. ამის შემდეგ ინტელიგენტი ებრაელები ტელეგრაფებს მისცვივდნენ დეპეშების გასაგზავნად, მაგრამ იქ დეპეშები არ მიიღეს. მაშინ ექიმი მუჩნიკი მირენის სადგურზე წავიდა და იქიდან პეტერბურგს დეპეშა გაჰგზავნა.

---

ქის თვით-მმართველობას ტყავს გააძრობს, რატომ ქალაქის განათებისათვის არა ზრუნავსო და ბოლოს რჩევას მისცემს, ვისაც ჯერ არს, საქალაქო თვით-მმართველობა სულაც უნდა მოისპოსო.

მეორე მოღვაწე, ერთად-ერთ შესაძლებელ პასუხის მოცემის მაგიერ, მოჰყვება და გაიხსენებს: ერთ ბნელ ღამეს წინააღმდეგ ბანაკის გაზეთის თანამშრომელს ერთ პატარა ყრუ ქუჩაში შევხვდიო და ამ საბუთით რამდენსამე აშკარა აზრს წარმოსთქვამს ადგილობრივ ხალხის, „ტუზემცების", მოხანათობასა და სეპარატიზმზე.

მესამე მოწინავე წერილში პირდაპირ სალოკ თითს გიჩვენებთ და დაგემუქრებათ.

— მოიცათ, რა ნება გაქვთ, რომ იმუქრებით? მითხარით: ბნელი ღამე ხომ ბნელია?

— კარგად მესმის ეგ თქვენი იგავი. ეგეც თქვენის ნიდერლანდიურ არაკივითაა. ბევრს ნუ ჰლაპარაკობთ და!

მეოთხე, უეჭველია, თავის საყვარელ სალაპარაკო საგან—ნაციონალიზმზე გადავა, გზა-და-გზა ყველა „ხალხის მტრებს" დაჰლორბლავს, ბევრ ბავშვურ სისულელეს წამოსტყორცნის და პასუხს კი მაინც არ მოგცემთ.

— როგორ განა თქვენ, ბატონებო, ამისთანა უბრალო საგანზედაც კი ვერ შეთანხმებულხართ? ნულარა ჰკერპობთ და აბა სთქვით: ბნელი ღამე ბნელია!

— ვერა, ვერ ვიტყვი; როგორ შემიძლიან ისეთივე აზრი ვსთქვა, რაც „ლისტოკ"-სა, „ობოზრენიე"-სა, ან კიდევ „ვესტნიკ"-ში ჩემმა მოწინააღმდეგეებმა გამოსთქვეს!

— რა არის ეხლა! წარმოიდგინეთ, რომ თქვენმა მოწინააღმდეგემ ასეთი ჭეშმარიტი აზრი, ასეთი აქსიომა გამოსთქვა: ორჯერ ორი ოთხიაო. მაშ ამასაც არ გაიმეორებთ?

— არას დროს! აბა იფიქრეთ, რა სირცხვილი, რა თავლაფის დასხმა იქმნება ჩემთვის, თუ ვინმე შეჰნიშნავს და დასწერს ჩემზე, რომ დღეს ისა სთქვა, ან იმას დასთანხმდა, რაც გუშინ სხვა გაზეთში ფლანმა სთქვაო!

— ხომ მოჰხდება, რომ ვინმემ სხვა გაზეთში ცოცხალი, თანაგრძნობის ღირსი აზრი გამოსთქვას. განა თქვენ არას დასწერთ ამ აზრზე, განა მხარს არ დაუჭერთ?

— არასოდეს! ის სჯობია, სულ გავჩუმდე და ხმაც არ ამოვიღო ამ საგანზე. მოწინააღმდეგეს მხარი დავუჭირო?!—ეგ ხომ ჩემი მოთხრა და სასაცილოობა იქმნებოდა!

— მაგრამ განა საზოგადოებრივი ასპარეზი სამხედრო ბრძოლის ველია? ომის დროსაც კი ჰზოგვენ და ინდობენ მოწინააღმდეგის პიროვნებას, მოსწონთ იმისი სიმამაცე და დაცემულს აღარა ჰკლავენ. თქვენ კი, ბატონებო, ყოველი თქვენის თანა-მეკალმის შეცდომა გიხარიანთ, ოხუნჯ სიტყვისა და მოსწრებულ ანდაზის გულისთვის მზადა ხართ სასარგებლო საქმე დაამხოთ, მზადა ხართ ძლიერ სასარგებლო, სიმპატიური აზრი ჩააქროთ, თუ ეს აზრი თქვენის მოწინააღმდეგის რედაქციაში დაიბადა და არა თქვენ საკუთარ რედაქციაში.

თქვენი პოლემიკა? განა თქვენ, საცა სამართალია, ერთმანერთის მოწინააღმდეგები და ერთმანერთის მტრები უნდა იყვნეთ? განა ერთი საზოგადო საერთო საქმე არა რჩება უკან, როცა თქვენ წვრიმალი საქმე გიტაცებთ, ერთმანერთს ცხარედ ეკინკლავებით და სერიოზულ გაზეთებისათვის არა საკადრის პოლემიკაში ემბებით? ეხლა თქვენ ერთმანერთის წერილებზე ხმას არ იღებთ, ერთმანერთის ცოცხალ აზრზე ჰჩუმდებით. განა ეს კარგია? განა ეს ჰგავს რასმეს? ამის გულისათვის რამდენი სასარგებლო რამ იკარგება თქვენს განცალკევებულ, იო-წილად შრომაში!

აბა ერთი დაუკვირდით, როგორა სცხოვრობთ და როგორ ექცევით ერთმანერთს? ყველა სხვა ხელობის ხალხი იკრიბებიან და საზოგადო საქმეებზე ლაპარაკობენ, თქვენკი მგლებივით შეჰყურებთ ერთმანერთს და თვალ-გაფაციცებით ელით შემთხვევას, რომ უფრო ძლიერ ატკინოთ, აწყენინოთ და დაჰშხამოთ ერთმანერთი. ამიტომ თქვენი ძალა ქარწყლდება, მნიშვნელობაც გეკარგებათ. თქვენ საკუთარი საჟურნალისტო ზნეობის წესებიც კი ვერ შეიმუშავეთ. ყოველ ოხერს, რომელსაც გულში ნამცეცი ღვთიური ნაპერწკალი არ უღვივის, არც ბეჭდვით სიტყვის მნიშვნელობა სწამს, შეუძლიან თქვენს წრეში შემოვარდეს, თქვენი საერთო პატიოსანი საქმე სიცრუითა და ფარისევლობით გააჭუჭყიანოს, და მთელი თავისი სიცოცხლე ცრუ ნაციონალიზმის შაურიანი წამოსასხამი ატაროს და გატყუოთ. თქვენ არ შეგიძლიანთ ამისთანა ოხერი გააძევოთ, რადგან მთელი თქვენი სიცოცხლე სულ ერთმანერთის კბენას, გადაკიდებას და უმსგავსობას უნდება და იმიტომ კიდე, რომ თქვენში ერთი პირი და საზოგადო საქმის შეგნება არაა.

როცა თქვენ ისეთ მეგობრულ, ერთ-პირ და ძლიერ ორგანიზაციას შეადგენთ, რომ იმის წევრობას ყველანი სასახელოდა და პატივისცემად ჩასთვლიან, მაშინ ყველა ოხრები და უქნარეები, ყველა ხორც-მეტი და მუწუკი თავის თავად მოჰშორდება პრესის უზარ-მაზარ სხეულს. მაშინ პატიოსანი ჟურნალისტი, საზოგადოებრივ საქმის სიყვარულით გატაცებული, მშვიდობიანად შეასრულებს თავის დიდსა და სასარგებლო საქმეს. მანამდე კი... განა იმას, რასაც თქვენ აკეთებთ, საზოგადოებრივი მოღვაწეობა ეთქმის?

ღ. ფ.

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა წლიური მორიგი კრება

კრება გაიხსნა გუშინ, 30 აპრილს, შუადღეზე, ბანკის სადგომში. თავმჯდომარედ აირჩიეს თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. დაესწრო 85 რწმუნებული.

კრებას პირველად მოხსენდა ბანკის წარსულის წლის მოქმედების ანგარიში, რომელიც ერთხმად დაამტკიცა კრებამ. მეორე მოხსენება შეეხებოდა იმ საქმეს, რომელიც ბანკს წარსულ წელს სასამართლოებში ჰქონია. სულ ოცი საქმე ჰქონია ბანკს სასამართლოებში. ამათგან ზოგი დასრულებულა ბანკის სასარგებლოდ, ზოგიც წარმოებაშია; ერთი საჩივარი-კი ნასირბეგოვისა ბანკს სრულებით წაუგია და გადაუხდია კიდეც ნასირბეგოვის სასარგებლოდ 43,077 მან. 77 კაპ. კრებამ საყურადღებოდ მიიღო ეს მოხსენება.

ცოტაოდენი კამათი გამოიწვია შემდეგმა მოხსენებამ იმ მამულების შესახებ, რომელიც არ გაყიდულა და ბანკს აქვს ჩაბარებული; სულ 9 მამული ყოფილა ბანკზე დარჩენილი წარსულ წელს.

ზედამხედველ კომიტეტმა სთხოვა კრებას, ცალკე მმართველი დაინიშნოს ბანკზე დარჩენილის მამულების მართვისათვისაო.

გამგეობა ამტკიცებდა, საჭირო არ არის ცალკე კაცის მოწვევა მამულების თვალ-ყურის გდებისათვის. თავ. გ. თარხნიშვილი და ზოგი სხვებიც ამბობენ, არ შეიძლება ბანკზე დარჩენილი მამული უყურადღებოდ დარჩესო.

თავ. ზ. გ. მაყაშვილი აცხადებს, რომ ბანკზე დარჩენილის მამულების მართვის შესახებ ინსტრუქცია იყო შემუშავებული, მაგრამ ეს ინსტრუქცია არ ყოფილა აქამომდე ხმარებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის დამფასებლები კარგად მოუვლიდნენ მამულებს, მაგრამ დამფასებლები ყოველთვის უარს ამბობდნენ სოფლის მამულების თვალ-ყურის გდებაზე, ეს რომ არ იყოს, არც იმდენი ზარალი იქმნებოდა ყოველ წელს, როგორც ეხლა არისო.

მქ. გ. გაბაშვილის წინადადებით კრებამ დაადგინა: შეერთებულმა სხდომამ ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობისამ შეიმუშაოს მომავალ კრებისათვის, რა წესით უნდა იყოს თვალ ყურის გდება და მართვა-გამგეობა ბანკზე დარჩენილის მამულებისა.

თავ. ი. ჭავჭავაძემ ითხოვა: სანამ შეერთებული სხდომა ამ წესს შეიმუშავებდეს, კრებამ დაავალოს ბანკის დამფასებლებს ბანკზე დარჩენილის მამულების თვალ-ყურის გდებაო.

თავ. გ. მიქელაძე უკანონოდ სთვლის ამ გვარ წინადადებას, რადგან წესდების ძალით, დამფასებლის მოვალეობა მკაფიოდ განსაზღვრულია და ამ მოვალეობის გარეშე დავალება უკანონო იქმნებაო.

თავ. ი. ჭავჭავაძე: როგორ არ შეუძლია კრებას დაავალოს მოვალეობა იმ კაცს, რომელსაც თვითონ ირჩევს და შრომის სასყიდელსაც აძლევს? ბანკში ყოველი მოსამსახურე მოვალეა ხელი შეუწყოს ბანკის საქმეების წარმატებას; დამფასებელი-კი უფრო მეტი მოვალეა ბანკზე დარჩენილს მამულს თვალ-ყური ადევნოს, რადგან დარჩენილი მამული იმისგანვე შეფასებულია.

კრებამ დაადგინა: სანამ შეერთებული სხდომა ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობისა ამ საქმის შესახებ წესებს შეიმუშავებს, ვსთხოვოთ დამფასებლებს მიიღონ თავის-თავზე ბანკზე დარჩენილ მამულების თვალ-ყურის გდებაო.

შემდეგ კრებას მოხსენდა პროექტი ბანკში მოსამსახურეთათვის შემნახველ კასის წესდებისა. პროექტით ამ კასამ უნდა ერთდროული შემწეობა აღმოუჩინოს იმას, რომელიც ბანკში სამსახურს თავს ანებებს. ამ კასას ბანკმა ყოველ წელს 12 ათასი მანეთით შემწეობა უნდა აძლიოს, მოსამსახურეებმა კი თავიანთ ჯამაგირიდან 5% უნდა იხადონ, ხოლო დივიდენდიდან—10% და აგრეთვე ერთი თვის ჯამაგირი უნდა კასაში შეიტანონ მაშინ, როცა მოსამსახურეს ჯამაგირს მოუმატებენ.

ზედამხედველმა კომიტეტმა მოახსენა კრებას: ამ პროექტის განხილვა ჩვენ ვერ მოვასწარით, რადგან გვიან წარმოგვიდგინა გამგეობამ და გთხოვთ მოგვანდოთ ამის განხილვა შეერთებულ სხდომას კომიტეტისას და გამგეობისას იმ პირობით, რომ წესდება თქვენდა დაუკითხავად მთავრობას წარვუდგინოთ დასამტკიცებლად, ხოლო ფულად დახმარება კასისა თქვენ მოგხსენდეთ მომავალ კრებაზეო.

კრება არ დასთანხმდა ამას და დაადგინა: პროექტი განიხილოს შეერთებულმა სხდომამ კომიტეტისა და გამგეობისამ და მომავალ წელს კრებას მოხსენდეს.

შავი ზღვის პირა ადგილებში ბანკის მოქმედების გავრცელების შესახები მოხსენება კრებამ ერთხმად მიიღო და დაადგინა ამის ნება-რთვის გამოტანა მთავრობისაგან.

(დასასრული ხვალ)

## ქუთაისის ქალაქის საბჭო.

ქალაქის საბჭოს 28 აპრილის სხდომა, მიუხედავად იმისა, რომ ფრიად საყურადღებო საქმე იყო განსახილველი, ერთი საათის განმავლობაში გათავდა, და ამ ერთის საათიდანაც უმეტესი ნაწილი წინა სხდომის ოქმის კითხვას დასჭირდა. თითქმის ყველა საქმის განსახილველად ამორჩეულ იქმნა კომისიები, რომელთაც სამი კვირის განმავლობაში უნდა წარუდგინონ საბჭოს თავიანთი აზრი. ხმოსნის გ. ქ. ფონ-შულცის მოხსენება ელექტრონულ განათების შემოღების შესახებ და ქალაქის გამგეობის მოხსენება რიონის მარცხენა ნაპირზე ადგილის შემოკავება მიენდო სამშენებლო კომისიას, რომელშიაც არიან: თავ. კ. ბ. დორთქიფანიძე, გ. ქ. ფონ-შულცი, ვ. ი. წილაძე და ბ. შ. მოსეშვილი. მოხსენება ქალაქის სავასხოების გახსნის შესახებ მიენდო ახლად არჩეულს კომისიას, რომელშიაც არიან: მ. კ. დარახველიძე, დ. ბახტაძე და რომ. მახარაძე, მოხსენებანი ქუთაისში ლომბარდის გახსნისა და ქალაქის საზოგადო ბანკის დაარსების შესახებ მიენდო საფინანსო კომისიას, რომელშიაც ირიცხებიან: თავ. შ. ა. თუმანიშვილი, გ. გ. გამრეკელოვი, თავ. ი. მ. ხიქოვანი და ი. ი. მურადოვი. რაც შეეხება მოხსენებას ობლიგაციურ სესხის შესახებ—იგი უნდა განიხილოს ერთად სამმა კომისიამ. გარდა ამისა, კომისიებს ნება ეძლევათ, თუ საჭიროება მოითხოვს, მოიწვიონ მცოდნე კაცები.

საბჭომ შეიწყნარა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თხოვნა და დაუთმო მომავალ წელს ფრინველთა გამოსაფენად ქალაქის ბაღი ხუთის დღით; ფულით შემწეობის აღმოჩენაზე კი უარი უთხრა.

დონ-გალიანი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 აპრილი.

**ველლიტრი.** გუშინდამ აქ მიწის ძვრა იგრძნეს; მიწის ძვრა ორ წამს გაგრძელდა.

**ბერლინი.** გამოცხადდა შეთანხმება შვეიცარიასა და გერმანიას შუა. შეთანხმება შეეხება: კომისიის დანიშვნას გერმანიის მოთხოვნათა გამოსაკვლევად, სამედიატორო სასამართლოს დაარსებას ზოგიერთ უთანხმოებათა გამოსაკვლევად და აგრეთვე საზღვაო გადახდის საქმეს.

**სოფია.** ბიტოლიას ოსმალთა პოლიციამ თვითონ განგებ გადააგდო ყუმბარები, რითაც ბოლგარელთა ამოჟლეტა გამოიწვიეს.

სერესს, უსკიუბსა, ველესსა და ჯუმაიაში ბევრი დაატუსაღეს. სოფელი ბონიცა გადასწვეს.

დელჩევის მოკვლის ამბავს უარჰყოფენ. არც ცონჩევი მოუკლავთ, ის დაატუსაღეს დრენევოსაში.

საფრანგეთის ესკადრა, თანახმად ახლად მიღებულის ბრძანებისა, სირას გაჩერდა.

**ნოვოროსსიისკი.** გაიხსნა მოძრავ მხატვართა სურათების გამოფენა.

**მოსკოვი.** პეტერბურგის იუბილეის დღესასწაულზე დასასწრებლად მიდის აქედან დეპუტაცია და თან ძვირფას ყუთში ჩალაგებული ადრესი მიაქვს.

**შანხაი.** ნანსის ვიცე-კონსულმა და შანხაის ტაოტაიმ მოაწერეს ხელი იმ სამხედრო ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის შტატებს მიუვიდათ. იმათ დაუბრუნეს ბანკირთა კომისიას სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ წარდგენილი 13 ჩეკი და განაცხადეს, რომ თუ ფული ოქროს ვალიუტით უნდა იქნას გასტუმრებული, ამ შემთხვევაში უნდა მიიღოთ 1903 წლის 6 აპრილის კურსით.

**კონსტანტინოპოლი.** ინსპექტორი ხილმი-ფაშა უარსა ჰყოფს იმ ამბავს, ვითომ სახლების გაჩხრეკის დროს უსკიუბში დინამიტი ეპოვნოთ.—იუწყებიან, რომ კონიის მერვე დივიზია, რომელსაც ნასსირ-ფაშა უფროსობს, გადაჰყავთ ახალ ბაზარში.—ადრიანოპოლის და კირკილის სანჯაკების ექვს სოფელში ჰნახეს სომეხ რევოლიუციონერთა მრავალი ბრბო, რომელნიც ბაიაზეთის სანჯაკში გადავიდნენ. უკვე მიიღეს საჭირო ზომები.

**ვაშინგტონი.** რუზველტმა თავის სიტყვაში აღნიშნა ის პირველობა, რომელიც დიდ ოკეანეში შეერთებულ შტატებმა დაიჭირეს. შემდეგში რესპუბლიკა უფრო გაიმარჯვებს და ამ საუკუნის განმავლობაში ოკეანე იმის გავლენას დაემორჩილებაო.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალეთის ცნობებით, იპეკიდან გაგზავნილი დელეგატები რეფორმების წინააღმდეგ [illegible] უნაყოფოდ დაბრუნდნენ.—მანასტირის ელჩისგან მიღებულ დეპეშის თანახმად, წარსულ ოთხშაბათს მოჰკლეს 8 ბერძენი და 6 ბოლგარი და დასჭრეს 4 ბერძენი და 3 ბოლგარი.

**ჰონკონგი.** ნანკინისა და ცუნფუს ოლქებში დიდი შიმშილობაა. მცხოვრებთაგან 73,000 კაცია ტანჯვაში. გაეგზავნეს სურსათი.

**პეტერბურგი.** 29 აპრილს დასრულდა რკინის ქარხნების პატრონთა კრება.

30 აპრილი.

**პეტერბურგი.** ნიშნად მონარქიულ განსაკუთრებულ მოწყალებისა, ტახტისა და მამულისადმი ერთგულებისათვის მე-89 ბელომორის, 90 ონეგის, 92 პეჩორის და მე-102 ვიატკის ქვეითა ჯარის რაზმებს, რომელთაც ეხლა ას ასი წელი შეუსრულდათ, ხელმწიფე-იმპერატორმა უბოძა ახალი გიორგის დროშები საიუბილეო ლენტებით და ზედ-წარწერით: „1803—1903“, ეს წარწერა წინანდელ წარწერებთან ერთად იქმნება.

2 მაისს მოხდება უმაღლესი აღლუმი ჯარისა.

**დონის-როსტოვი.** სასამართლომ დაასრულა საქმის გარჩევა დამზღვევ საზოგადოებისაგან პრემიის მისაღებად თავის დასახიჩრებაზე. ბრალდებულნი გაამართლეს.

**კონსტანტინოპოლი.** გუშინდელ მინისტრთა რჩევაზე დასწერეს დადგენილება ვალის გაერთიანების შესახებ; ხელი კი ჯერ არავის მოუწერია. დიდმა ვეზირმა სთქვა, რომ ხელის მოწერა ოთხშაბათს მოხდებაო.

**სოფია.** მართლდება ის ხმა, რომ სალონიკში მომხდარ ამბების შემდეგ ოსმალთა ჯარი და ჟანდარმები უდანაშაულოებს აპატიმრებდნენ, დაეცნენ ბოლგარელთა ეკლესიას, შეჰბღალეს იგი და დაიტაცეს ეკლესიის ვერცხლეული.

კასტორიის ოლქში საშინელობას მოელიან, რადგანაც თესვა შეუძლებელი გახდა: მმართველობა აპატიმრებს და ჰგზავნის მცირე აზიაში ვაჟებს, გოგოებს კი ეჭვს შეიტანს; სოფლები: ბანსკო და ბელიცა აჯანყდნენ; მათ გარს ჯარი შემოარტყეს. ჯუმაის მცხოვრებნი გაგზავნეს. ბევრი მოსახლე მთაში წავიდა; ხალხის გადასახლება ხელ-ახლად დაიწყო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:** 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 21 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**შორაპნისაკენ:** დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

## განცხადებანი

ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსს,

სამსახურის მრავალ საქმეებით დატვირთულს, სრულიად არ შეუძლია ყოველ დღე მიიღოს მთხოვნელები, რომელნიც მოდიან ყოველ წუთს სამსახურის დროს და დაჟინებით თხოულობენ მიღებას, რადგან ჩამოსულები ვართო; ამიტომ რკინის გზების უფროსი სთხოვს ყველას, ვისაც მასთან საქმე აქვს და პირდაპირ მოლაპარაკება უნდა, მოვიდნენ ამისათვის დანიშნულ დღეებში,—სამშაბათობითა და პარასკევობით, ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 2-ს. მდე. (3—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—49)

სამოსახლო ადგილი

300 ჩორსი საჟ.

იყიდება

ვერაზე, ხევს იქით, სათ.-აზნ. სკოლის შენობის პირდაპირ.

იკითხეთ: „წერა-კითხვის საზოგადოებაში“ ქუჩუკაშვილთან, ან ოსიპოვსკის ვიწრო ქ. კრასნოგორსკის ქუჩიდან, სახლი ხატიევისა, № 7, მე-9 ნაწილში. (10—6.—3)

იყიდება ყინული

სუდებნი ქუჩაზე, მაისურაძის სახლში, № 4, ღვინის სარდაფს „ოქროში“. ღარიბ ავადმყოფებს ყინული უფასოდ მიეცემათ. იქვე იყიდება ნამდვილი კახური ღვინო.

გ. ცომაკურიძე. (4—2)

ცინკოგრაფია

ტფილ. გამოც. ქართველთა ამხანაგობის

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 375.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

კრემ ამიკოს (CRÊME AMYKOS)

საუკეთესო სავიგიენო საშუალება პირისახისა და პირის კანისათვის, იხმარება პირის კანის ყველა მსუბუქ სენის წინააღმდეგ, როგორც მაგალითად, ჭორფლის. მუწუკის და სხვა ამგვარის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კარგია არტისტებისათვის გრიმის მოხსნის შემდეგ სახმარებლად, რადგან სპობს სიცხესა და გრიმის სხვა შედეგს. ამ წამლის ერთი ბანკის ფასი 1 მ. 25 კაპ., 2 ბანკა ეგზავნება მსურველს 3 მანეთად პირდაპირ გამომგონთაგან: სავაჭრო სახლი „საპარფიუმერო ლაბორატორია ი. გოლდენბერგ“, პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13. (ნ. 4—4)

Дозв. ценз. Тифлисъ, 30 апрѣля, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)